ოპიოიდების აგონისტებით მკურნალობაში ჩართული პაციენტების გამოცდილების და შეხედულებების შესწავლა

მარიამ თოლორდავა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტზე ადიქციის კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

ადიქციის კვლევების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ირმა კირთაძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2025

აბსტრაქტი

შესავალი: სამაგისტრო ნაშრომი მიზნად ისახავს ოპიოიდების აგონისტებით თერაპიაში ჩართული ბენეფიციარების სუბიექტური გამოცდილებების, მათი საჭიროებების, აღქმული ბარიერების, და მოტივაციის შესწავლას. კვლევა განსაკუთრებით ყურადღებას ამახვილებს იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ თავად პაციენტები ოპიოიდების აგონისტებით თერაპიას, როგორც გამოჯანმრთელების გზას, თუ უბრალოდ სტაბილურობისა და უსაფრთხოების გარანტიას.

კვლევის მეთოდები: სამაგისტრო ნაშრომის მიზნებისთვის, ჩატარდა თვისებრივი კვლევა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ოცმა ბენეფიციარმა (17 კაცი და 3 ქალი), რომლებიც ჩართულები იყვნენ ოპიოიდების აგონისტებით თერაპიაში. მონაცემთა ანალიზი განხორციელდა თემატური ანალიზის მეთოდის გამოყენებით.

შედეგები: კვლევის პროცესში გამოიკვეთა ოპიოიდების აგონისტებით თერაპიის „პარადოქსული“ ბუნება: თერაპია განიხილებოდა, ერთი მხრივ, როგორც სტაბილურობის გარანტი, ხოლო მეორე მხრივ - ახალი ტიპის დამოკიდებულება. განსაკუთრებით ქალმა ბენეფიციარებმა გამოხატეს უარყოფითი დამოკიდებულება საზოგადოებაში არსებული სტიგმის, აგრეთვე თერაპიაში კონფიდენციალურობისა და ანონიმურობის შენარჩუნებასთან დაკავშირებული სირთულეების გამო.

დასკვნა: კვლევის მონაწილეებისთვის ოპიოიდების აგონისტებით თერაპია წარმოადგენს უსაფრთხო სივრცეს, რომელიც იცავს მათ ნარკოტიკების ძიებისგან ქუჩაში და კრიმინალურ ქცევაში ჩართულობისგან. გამოიკვეთა საზოგადოებაში ინფორმაციის გავრცელების და სტიგმის შემცირების საჭიროება. მნიშვნელოვანია, რომ ბენეფიციარები გაეცნონ საქართველოში არსებული შესაბამისი სერვისების შესახებ ინფორმაციას, რაც მათ გამოჯანმრთელების პროცესში დაეხმარებათ.

საკვანძო სიტყვები: ოპიოიდების აგონისტებით თერაპია, მეტადონი, ბუპრენოფრინი

Abstract

Introduction: This master's thesis aims to explore the subjective experiences, needs, perceived barriers, and motivations of beneficiaries engaged in opioid agonist therapy (OAT). The study places particular emphasis on how patients themselves perceive OAT, whether as a pathway to recovery or merely as a guarantee of stability and safety.

Methods: For the purposes of this study, a qualitative research approach was employed. Twenty beneficiaries (17 men and 3 women) currently enrolled in OAT programs participated in the research. Data were analyzed using thematic analysis methodology.

Results: The study revealed the "paradoxical" nature of opioid agonist therapy: while it is perceived as a guarantee of stability, it is simultaneously viewed as a new form of dependency. Female beneficiaries, in particular, expressed negative experiences related to societal stigma and the challenges of maintaining confidentiality and anonymity.

Conclusion: For the study participants, opioid agonist therapy represents a safe space that protects them from drug-seeking behavior in the streets and involvement in criminal activity. The findings highlight the urgent need for broader public awareness and stigma reduction. It is crucial that beneficiaries are informed about the available services in Georgia, which could significantly support them in their recovery journey.

Keywords: Opioid Agonist Therapy, Methadone, Buprenorphine